განკარგულება:**g-37.37211484**
თარიღი:**28/05/2021**

განკარგულება N28

28 მაისი 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სერვიტუტით გამოყენებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 247-253-ე მუხლების და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.01.51.265*)* მიწის ნაკვეთის (გზის) მოქალაქე ვიქტორ გობრონიძის *(პ/ნ 01009005461, მცხ: ქ. ოზურგეთი, პეტრიწის ქუჩა N1 ბინა 10)* სასარგებლოდ, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სერვიტუტის გამოყენებაზე (დატვირთვაზე).

მუხლი 2. სერვიტუტის მოქმედების ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი